საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი: **A**

მიმართულებების მოკლე დესკრიფცია

მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება სათანადო მინიმალური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოვლენა შემდეგი მიმართულებებით:

- საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია;
- საერთაშორისო ურთიერთოების თეორია;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ისტორია და სტრუქტურა;
- საქართველოს პოლიტიკური სისტემა;
- საერთაშორისო პოლიტიკის უახლესი ისტორია: მეორე მსოფლიო ომი, „ცივი ომი“;
- საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებზე ზოგადი ინფორმაცია.

ესსების ჩამონათვალი:

1. ისაუბრეთ გლობალური გავლენის ცენტრების ანუ სუპერ-სახელმწიფოების რაობაზე და მათ ფაქტორზე მსოფლიო პოლიტიკაზე (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასებები დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენებზე);
2. როგორია მორალის და ეთიკის ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე (მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები);
3. ისაუბრეთ კომუნიზმის ფენომენზე და მის გავლენაზე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე (აღწერეთ თქვენი მოსაზრებებით);
4. ისაუბრეთ ძალის ფაქტორზე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე ზოგად კონტექსტში (მოიყვანეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასებები);
5. რას წარმოადგენს ნატო და რა როლი გააჩნია ამ ორგანიზაციას საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში (მოიყვანეთ კონკრეტული ფაქტები);
6. ისაუბრეთ გაეროს შექმნის მიზეზებზე და მის როლზე საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებზე, თუნდაც თანამედროვე პირობებში (აღწერეთ თქვენი მოსაზრებები);
7. მსოფლიო წესრიგის რაობა და როგორ განისაზღვრება მისი კომპონენტები (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და მოიყვანეთ არგუმენტები);
8. საერთაშორისო ტერორიზმი: 21-ე საუკუნის ახალი თუ ძველი გამოწვევა??? (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები და მოიყვანეთ არგუმენტები).
9. ისაუბრეთ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩამოყალიბებაზე და თეორიების როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება);
10. განმარტეთ ეროვნული ინტერესის ცნება და რა გავლენას ახდენს უსაფრთხოების დილემა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე? (დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრებები);
11. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში რა როლი აკისრია საინფორმაციო უსაფრთხოებას და რა ზეგავლენას ახდეს კიბერიმო: 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ პროცესებზე (მოიყვანეთ კონკრეტული ფაქტები);
12. ისაუბრეთ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ჩარევაზე და საერთაშორისო ანტიტერორისტულ ოპერაციებზე (მოიყვანეთ თქვენი მოსაზრებები და შეფასება).

ლიტერატურული წყაროები საგამოცდო საკითხებისთვის:

1. არტი ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011 წელი;
2. ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წელი;
3. ზურაბ აბაშიძე „ცივი ომი“: წარსული თუ დღევანდელობა?“, თბილისი, 2009 წელი;
4. ვახტანგ მაისაია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004)“, სახელმღვანელო, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013 წელი;
5. ბესიკ ალადაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, თბილისი, 2011 წელი;
6. ავთანდილ ტუკვაძე „პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წელი;
7. ნიკა ჩიტაძე „გეოპოლიტიკა“, გამომცემლობა ,,უნივერსალი“, თბილისი, 2012.
8. ეკა აკობია ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, გამომცემლობა ,,სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, თბილისი, 2006.
9. ენდრიუ ჰეივუდი ,,პოლიტიკა“ მესამე გამოცემა, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2008.
10. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი ,,საერთაშორისო პოლიტიკა - თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, თბილისი, 2014.
11. ედიშერ გვენეტაძე ,,საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017.
12. გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.

გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები:

<u>საერთაშორისო</u> <u>ურთიერთობებისა</u> <u>და</u> <u>საერთაშორისო</u> <u>უსაფრთხოების</u> სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად სპეციალობაში ჩატარდება წერილობითი გამოცდა.

შეფასების კრიტერიუმებია:

- 15 ღია ტიპის კითხვა - სულ 15 ქულა;
- 5 დახურული ტიპის კითხვა - სულ 5 ქულა.
- გამოცდაზე წარმოდგენილი 4 ესედან უნდა ამოირჩიოთ ერთი და შეადგინოთ არგუმენტირებული ტექსტი არანაკლებ ერთი გვერდისა; მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა, მინიმალური - 5 ქულა.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა
ბარიერის გადასალახად უნდა მიიღონ მინიმუმ 16 ქულა.
მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა.